ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №4

29.12.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, სალომე კობალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **გიორგი ტყემალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **კონსტანტინე ზარნაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ზურაბ აბაშიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **მამუკა გუგეშაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **გივი ჩხარტიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ზაზა თავაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. **ირაკლი თავართქილაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე

საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, ასევე, გარემოს დაცვის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 22 დეკემბრის №12-032135655-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 23 დეკემბრის №12-03213574-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 27 აგვისტოს №12-032123924-03 წერილი (№90 ოქმით (07.09.2021წ.) გადადებული 1-ლი პოზიცია) და 2021 წლის 6 ოქტომბრის №12-032127938-03 წერილი (№92 ოქმით გადადებული მე-3 პოზიცია)) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 28 აგვისტოს №12-032136283-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 22 დეკემბრის №12-032135655-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში

გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 22 დეკემბრის №21.1780.1992 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 7 წინადადება - №0121351293-67; №01213132041-67(№0121330608-67); №01213469-67; №01213052144-67; №012135340-67; №01213301962-67 განცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ერთი ინიციატივა).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0121351293-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.09.182) ნაწილზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

№81.21.09.182 საკადასტრო ერთეულზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: N81.21.09.182) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ).

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზიის განთავსება წარმოადგენს, რაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ის მიხედვით საცხოვრებელი ზონა 2-ისათვის (სზ-2) განაშენიანების ძირითად დასაშვებ სახეობას წარმოადგენს.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.09.182) ნაწილზე და მიმდებარედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01213132041-67(№0121330608-67) განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №81.02.29.363, №81.02.29.064) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.02.29.363 და №81.02.29.064-ის ნაწილი) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3), რომელიც სამშენებლო განვითარებისთვის დასაშვებ ზონას წარმოადგენს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი და გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), რომელიც სამშენებლო განვითარებისთვის მკაცრი შეზღუდვის ზონას წარმოადგენს.

ვინაიდან, მიმდებარე არეალი გავრცელებული და ჩამოყალიბებულია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.02.29.363 და №81.02.29.064-ის ნაწილი) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №81.02.29.363 და №81.02.29.064-ის ნაწილი)

ჩრდილოეთით ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 17 დეკემბრის №18-01213512287 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.02.29.363 და №81.02.29.064-ის ნაწილი და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №81.02.29.363, №81.02.29.064) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01213469-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ასურეთის ქუჩა №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.14.007.005) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: №01.12.14.007.005-ის ნაწილი) ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს შენობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2021 წლის 20 დეკემბრის №01213541439 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ამასთან, მიზანშეწონილია, რომ არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტირდეს და გავრცელდეს საპროექტო მონაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეზე, ღობის გასწვრივ და საპროექტო მონაკვეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეზე №01.12.14.019.031 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე.

ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.12.14.007.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება. კერძოდ, №01.12.14.007.005 საკადასტრო

ერთეულის აღმოსავლეთით, ღობის გასწვრივ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხდება საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ასევე, №01.12.14.007.005 მიწის ნაკვეთის დასავლეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ასურეთის ქუჩა №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.14.007.005) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და მიმდებარედ საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01213052144-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა (ყოფილი კიბალჩიჩის), ხევი 7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.115) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა და ძირითადი რუკით არსებული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ფრაგმენტული ცვლილების თავიდან არიდების მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი განიხილება მიმდებარე არეალზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 17 დეკემბრის №18-01213512296 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული (სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები) ფენის მოხსნა.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე (ყოფილი კიბალჩიჩი) არსებული განაშენიანების შესახებ. ბ-ნი რ. სოხაძის განმარტებით, აღნიშნული ტერიტორია ისტორიულად ხევს წარმოადგენს და ნაკლებად იყო განაშენიანებული. რამდენიმე ათწლეულია, რაც მოსახლეობამ თვითნებურად დაიკავა მიწის ნაკვეთები. წარმოდგენილ ტერიტორიასა და მის მიმდებარედ სარეკრეაციო სივრცეების სიმცირეა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და ურბანული გამწვანების ფენის მოხსნა, ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელების მიზნით, მიზანშეწონილი არ არის.

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ - ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე (ყოფილი კიბალჩიჩი) არსებული ტერიტორიის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ბ-ნი გ. ტყემალაძის განმარტებით, ტერიტორიაზე არსებული ბარაკული ტიპის დასახლების ნაცვლად, შესაძლებელია პერსპექტიული და ტურისტულად მიმზიდველი უბნის კონცეფციის განვითარება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01213052144-67 განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№012135340-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.067; №01.11.17.001.209, №01.11.17.001.120) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილია 2021 წლის 6 დეკემბრის №22/01213403049-16 განცხადება. განცხადების შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე არის ბარაკული ტიპის დასახლება და ნაკლებად აქვს წვდომა სოციალურ ინფრასტრუქტურასთან. არსებული შენობების ავარიულობიდან გამომდინარე, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება.

ფრაგმენტული ხასიათის ცვლილების თავიდან აცილების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება ხორციელდება მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ზემოაღნიშნულის განხორციელებისთვის, ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.067; №01.11.17.001.209, №01.11.17.001.120) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01213301962-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.007.023) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 17 დეკემბრის №01213512292 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა იმ შემთხვევაში, თუ მისი შემდგომი სამშენებლოდ განვითარებისას, შენარჩუნებული იქნება მასზე განთავსებული ჯანსაღი მწვანე ნარგავები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება ცვლილების შედეგად ხარვეზის სახით დარჩენილი შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.007.023) და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ, თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.05.11.133 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1), საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 2-ითა (სზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

აღნიშნული ცვლილებით ხდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ფაქტობრივად სატრანსპორტო ფუნქციის მქონე არეალზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას №01213052144-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა (ყოფილი კიბალჩიჩის), ხევი 7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.115) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა და ძირითადი რუკით არსებული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელების საკითხის განხილვა.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 22 დეკემბრის **№12-03213655-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №0121351293-67; №01213132041-67(№0121330608-67); №01213469-67; №012135340-67; №01213301962-67 განცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ერთი ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №01213052144-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა (ყოფილი კიბალჩიჩის), ხევი 7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.115) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა და ძირითადი რუკით არსებული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელების საკითხის განხილვა.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 22 დეკემბრის **№12-03213655-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №0121351293-67; №01213132041-67(№0121330608-67); №01213469-67; №012135340-67; №01213301962-67 განცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ერთი ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 23 დეკემბრის №12-03213574-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 22 დეკემბრის №21.1786.2005 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01213473792-67).

ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - **№01213473792-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.747; №72.16.18.722; №72.16.18.341) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ზემო ლისზე; ქალაქ თბილისში, სოფელი ზემო ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.18.722; №72.16.18.747; №72.16.18.341) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის №554 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.747; №72.16.18.722; №72.16.18.341) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით **აზრი გამოთქვა:**

ქ-ნმა ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა - ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.747; №72.16.18.722; №72.16.18.341) მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე.

ქ-ნი ბარბარა ჯიმელი სულაშვილის ინფორმაციით, ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.747; №72.16.18.722; №72.16.18.341) ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის განხილვაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს. ასევე, ქ-ნმა ბ. ჯიმელი სულაშვილმა, როგორც დაინტერესებულმა მხარემ, ისაუბრა ქალაქ თბილისში, ზემო ლისზე; ქალაქ თბილისში, სოფელი ზემო ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.18.722; №72.16.18.747; №72.16.18.341) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე შექმნილ სირთულეებზე. კერძოდ, ტერიტორიაზე დაწესებული საგზაო (კვაჭაძის ქუჩიდან შესასვლელის მოწყობის შეზღუდვა) და გეოლოგიური (სეზონური მდინარეები და კოლექტორი) შეზღუდვების გამო კერძო მესაკუთრეებს გარკვეული პრობლემები შეექმნას გზის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით.

ქ-ნი ბ. ჯიმელი სულაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა მომხსენებელმა, ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა, რომლის ინფორმაციით, გეგმარებითი თვალსაზრისით, ქალაქ თბილისში, სოფელი ზემო ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.18.722; №72.16.18.747; №72.16.18.341) სასწავლო კომპლექსის ჩარჩო-გეგმის შეთანხმებისას, დადგინდა კვაჭაძის ქუჩიდან გზის 8,5 მეტრიანი შეზღუდვა გზის შეჭრის თავიდან აცილების მიზნით. გარდა ამისა, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა და ცენტრალურ გზას (კვაჭაძის ქუჩა) შორის, ბუფერის სახით, არის ქარსაცავი ზოლი, რომლის შენარჩუნებაც უნდა მოხდეს. ასევე, საკადასტრო მიწის ნაკვეთის სამხრეთ ნაწილზე, სეზონური მდინარეების და არსებული კოლექტორის გამო ვრცელდება გეოლოგიური შეზღუდვა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულმა მხარემ გრგ-ს დამუშავებისას საგზაო შეზღუდვა არ დაიცვა, ერთადერთი გამონაკლისი დაუშვა სააგენტომ და სკოლის მშენებლობის მიზნით, დაინტერესებულ მხარეს კვაჭაძის ქუჩიდან საკადასტრო მიწის ნაკვეთებამდე მისასვლელი გზის შეჭრის უფლება მისცა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 23 დეკემბრის **12-03213574-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01213473792-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

შენიშვნა: კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის ერთმა წევრმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 23 დეკემბრის **12-03213574-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01213473792-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 27 აგვისტოს №12-032123924-03 წერილი (№90 ოქმით (07.09.2021წ.) გადადებული 1-ლი პოზიცია) და 2021 წლის 6 ოქტომბრის №12-032127938-03 წერილი (№92 ოქმით გადადებული მე-3 პოზიცია))

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

1) სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2021 წლის 7 სექტემბრის კომისიის სხდომაზე (ოქმი №90) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებულ იქნა ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ.10/005 მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.10.003.073) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხი (**განცხადება №01212221205-67(№01212241730-67)).**

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01212221205-67(№01212241730-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის,

მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ.10/005 მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.10.003.073) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №01212232722 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და ასევე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 12 აგვისტოს №012122490 წერილის მიხედვით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა (№16-01211474057, 27.05.2021წ.) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

2) სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2021 წლის 19 ოქტომბრის კომისიის სხდომაზე (ოქმი №92) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, რატევანის I შესახვევი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.09.003.013) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) დაზუსტების საკითხი.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით** ხდება ქალაქ თბილისში, რატევანის I შესახვევი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.09.003.013) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) დაზუსტება.

№01.12.09.003.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ჩამოყალიბებულ გარემო განაშენიანებას, რომელშიც იკვეთება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით ჩამოყალიბებული კვარტალი. ზემოაღნიშნულ ტერიტორიას ასევე ესაზღვრება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

ტერიტორიის ლოგიკური გეგმარებითი ხასიათის დადასტურების მიზნით ხორციელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) ქვეზონის მინიჭება, კერძოდ, ტერიტორიის ლოგიკური არეალი ზუსტდება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5).

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადებები:

1) **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 27 აგვისტოს **№12-032123924-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული **№01212221205-67(№01212241730-67) განცხადების** (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.
2) **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 6 ოქტომბრის **№12-032127938-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ქალაქ თბილისში, რატევანის I შესახვევი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.09.003.013) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) დაზუსტების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1) **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 27 აგვისტოს **№12-032123924-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული **№01212221205-67(№01212241730-67)**

განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

2) **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 6 ოქტომბრის **№12-032127938-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ქალაქ თბილისში, რატევანის I შესახვევი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.09.003.013) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) დაზუსტების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 28 აგვისტოს №12-032136283-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში [illegible] ინფორმაციის შიჯარის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის №21.1867.2100 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01212162826-67 და №0121216799-67 განცხადება).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01212162826-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კოჯრის გზატკეცილი, ოქროყანის სპორტული ბაზის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.15.08.008.022; №01.15.08.008.016, №01.15.08.008.014,

№01.15.08.008.020, №01.15.08.008.012, №01.15.08.008.001, №01.15.08.008.011, №01.15.08.008.017, №01.15.08.008.015, №01.15.08.008.004, №01.15.08.008.035, №01.15.08.008.033) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, კოჯრის გზატკეცილზე, ოქროყანის სპორტული ბაზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრისა და სასტუმროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 27 მაისის №1248 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.15.08.008.022 და №01.15.08.008.020 საკადასტრო ერთეულებს შორის, ასევე, N01.15.08.008.022 და №01.15.08.008.012 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საზღვრებს შორის დარჩენილ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, აღნიშნულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ასევე, საპროექტო საკადასტრო ერთეულებს შორის გამავალ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მიმდებარედ ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის ცენტრში გამავალ სატრანსპორტო ზონა 1-თან (ტზ-1) ხორციელდება სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კოჯრის გზატკეცილი, ოქროყანის სპორტული ბაზის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.15.08.008.022; №01.15.08.008.016, №01.15.08.008.014, №01.15.08.008.020, №01.15.08.008.012, №01.15.08.008.001, №01.15.08.008.011, №01.15.08.008.017, №01.15.08.008.015, №01.15.08.008.004, №01.15.08.008.035, №01.15.08.008.033) და მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0121216799-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.94.957)

მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.94.957) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 21 მაისის №2061 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N81.02.94.957) აღმოსავლეთით ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.94.957) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 28 დეკემბრის **№12-032136283-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01212162826-67 და №0121216799-67 განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 28 დეკემბრის **№12-032136283-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01212162826-67 და №0121216799-67 განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე